საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

NEWS აგვისტო 2015

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

## კახეთში წყალსატევარის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

7აგვისტო



სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთის რეგიონში, ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ვაჩნაძიანთან მცირე წყალსატევარის მოწყობის პროექტს ახორციელებს.
ობიექტების ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, მომხმარებლები გამოიყენებენ ირიგაციის თანამედროვე მეთოდის-წვეთური მორწყვის სისტემებს.
წყალსატევარში მოხდება 1000 მ3 წყლის მარაგის დაგროვება, რაც 140 ჰექტარ მიწის ფართობს უზრუნველჰყოფს სარწყავი წყლით.
სამუშაოები მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და ამავე წლის სექტემბერში დასრულდება.
„საქართველოს მელიორაცია“ კახეთის რეგიონში, დღეის მდგომარეობით, სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს 6 ობიექტზე.





# ცისკარი-ბაგრატის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

14 აგვისტო



სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვემო ქართლში ახორციელებს ცისკრისა და ბაგრატის სარწყავი სისტემების რეაბილიტაციას.
პროექტის ფარგლებში ჩატარდება მაგისტრალური არხების I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ცისკრის, ბაგრატისა და ბოლო არხების წმენდა, დაზიანებული მოპირკეთების დემონტაჟი, ახალი მოპირკეთების მოწყობა მონოლითური რკინაბეტონით; არსებული მილხიდების შეკეთება და ახალი მილხიდების მოწყობა; ტიპიური წყალგამშვები კვანძების მოწყობა. რეაბილიტაციის შედეგად, მარნეულის მუნიციპალიტეტში, 4 სოფლის (ყაჩაღანი, კასუნლო, ულაშლო, ალმამედლუ) 820 ჰა სასოფლო სამეურნეო მიწის ფართობი გახდება წყალუზრუნველყოფილი. აღნიშნული ფართობით 450 მოსახლე ისარგებლებს.
პროექტის ღირებულებაა 3 464 000 ლარი
სამუშაოები გასულ წელს დაიწყო და 2015 წლის ბოლოს დასრულდება.
„საქართველოს მელიორაცია“ დღეის მდგომარეობით, რწყვის სეზონის პარალელურად, ქვემო ქართლის რეგიონში 7 ობიექტზე ახორციელებს სარეაბილიტაციო ღონისძიებებს.





# ფშაველი-ომალოს საავტომობილო გზის გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება

26 აგვისტო

კახეთის რეგიონში, 21 აგვისტოს ძლიერი წვიმის შედეგად, თუშეთთან დამაკავშირებელი ფშაველი-ომალოს საავტომობილო გზის დაზიანებული მონაკვეთების გაწმენდითი სამუშაოები გრძელდება.
სამუშაოებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გზების დეპარტამენტთან ერთად სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ აწარმოებს. ადგილზე მობილიზებულია კომპანიის 3 ერთეული მძიმე ტექნიკა.








 0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ.№6 საინფორმაციო სამსახური : 2 001000 ელ-ფოსტა : info@ag.ge WWW.AG.GE

# მობილური მელიორაცია

31 აგვისტო







სოფლის მეურნეობის სამინისტრო და შპს ,,საქართველოს მელიორაცია" სარწყავი და სადრენაჟე სიტემების მასშტაბურ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებენ. მიმდინარე კაპიტალური სარეაბილიტაციო პროექტების პარალელურად, წლევანდელი სარწყავი სეზონისათვის კომპანიამ აღადგინა მელიორაციაში არსებული ირიგაციის მეთოდი - მობილური მელიორაცია. მობილური მელიორაცია გადასატანი სატუმბი სადგურების გამოყენებას გულისხმობს. მობილური მელიორაციის სამსახურის გახსის შემდეგ, დღეისათვის მოირწყა 120 აბონენტის 200 ჰექტარი მიწის ფართობი.

მობილური სატუმბი სადგურების გამოყენებით რწყვის პროცესს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია და შპს საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი ლევან დვალი დაესწრნენ.

,,მობილური მელიორაციის" გამოყენებით შესაძლებელი გახდა ისეთი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების წყლით უზრუნველყოფა, რომელთაც წყალი სატუმბი ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო შეფერხებით მიეწოდებოდა. მობილური სატუმბი სადგურებით წყალუზრუნველყოფა მოხდება აგრეთვე საირიგაციო სისტემებში წყალნაკლულობის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს. აღნიშნულ სამსახურში დღეისათვის 10 გადასატანი სატუმბი სადგური ირიცხება. სამომავლოდ იგეგმება „მობილური მელიორაციის" სამსახურის გაფართოებას.

კახეთის რეგიონში 2012 წლიდან დღემდე დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 19 პროექტი - ირიგაცია 8 140 ჰა-ზე, დრენაჟი - 925 ჰა-ზე. შედეგად, 75-მდე სოფლის მოსახლეობამ სარგებელი მიიღო.

საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

გაცნობებთ, რომ ჩვენი
კომპანიის საინფორმაციო
სამსახურის ნომერი შეიცვალა.

საჭიროების შემთხვევაში,
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ
ნომერზე:

**2 00 10 00**